**დამტკიცებულია**

შპს „საქენერგო“-ს
დირექტორი

**შეთანხმებულია**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს
ეროვნული სააგენტოს გარემოსდაცვითი
შეფასების დეპარტამენტი

______________________________ ______________________________

"_____" ________ 2023 წ.

# ხრამი 7 ჰესის სამშენებლო ბანაკი N1

# ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი

შემსრულებელი:

შპს „გამა კონსალტინგი”

დირექტორი ზ. მგალობლიშვილი

თბილისი 2023

“Gamma Consulting” Ltd 19d D. Guramishvili av. 0192 Tbilisi, Georgia
tel: +(995 32) 261 44 34; 260 15 27 E-mail: zmgreen@gamma.ge; j.akhvlediani@gamma.ge
www.facebook.com/gammaconsultingGeorgia

# ა ნ ო ტ ა ც ი ა

ანგარიში შესრულებულია ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად [1, 2, 3, 4, 5] და მასში სისტემატიზებულია შპს „საქენერგო“ ქვემო ქართლის რეგიონში, კერძოდ: ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, მდ. ხრამზე გეგმავს 9.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე, ხრამი 7 ჰესის და 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლოატაციის პროცესში არსებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები. გამოკვლევის შედეგად გამოვლენილია ატმოსფეროში გაფრქვევის 6 სტაციონარული წყარო. ინვენტარიზაციის მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა 0,16 ტ/წელ. დამაბინძურებელი ნივთიერებები.

პროექტში შეფასებულია ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, მოყვანილია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გაანგარიშებათა ჩატარებისათვის საჭირო საწყისი ინფორმაცია ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრებისა და გაბნევის ანგარიშის გათვალისწინებით. დაბინძურების თითოეული წყაროსა და თითოეული მავნე ნივთიერებისთვის დადგენილია ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები.

ანგარიში შესრულებულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის თანამედროვე ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით.

## სარჩევი


1 ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ ....................5
2 საწარმოს განთავსების  ბუნებრივ-კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება ....................6
3 ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა და დაბინძურების წყაროთა დახასიათება ....................7
4 ატმოსფერულ ჰაერში.გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში ....................8
5 ატმოსფერულ.ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები ....................19
6 გაბნევის ანგარიშის გრაფიკული ასახვა ....................24
7 მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მიღებული შედეგების ანალიზი ....................26
8 დასკვნა....................27
9 ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები....................27
10 ლიტერატურა ....................28
11 დანართი 1. გაბნევის ანგარიშის პროგრამული ამონაბეჭდი ....................29
12 დანართი 2. საწარმოს გენგეგმა ატმოსფეროს დაბინძურების წყაროების დატანით....................36

## ძირითად ტერმინთა განმარტებები

ა) "ატმოსფერული ჰაერი" - ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;

ბ) “მავნე ნივთიერება" - ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

გ) "ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება" - ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობის ცვლილება მასში მავნე ნივთიერებათა არსებობის შედეგად;

დ) "ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმა" - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეული გასაშუალოებული პერიოდისათვის, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე და საერთოდ გარემოზე მავნე ზემოქმედებას;

ე) “ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა საშუალო სადღეღამისო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია” - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია დღე-ღამის განმავლობაში აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების გასაშუალოებით;

ვ) “ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია” - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია 20-30 წუთიან დროის ინტერვალში ერთჯერადად აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების მიხედვით;

ზ) “ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმა” - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის დადგენილი რაოდენობა, გაანგარიშებული იმ პირობით, რომ დაბინძურების ამ წყაროსა და სხვა წყაროების ერთობლიობიდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს ამ წყაროს ზეგავლენის ტერიტორიისთვის დადგენილ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს,

## 1 ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

შპს „საქენერგო“-ს საწარმო განთავსებულია ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

**ცხრილი 1.1.** ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

| | |
|---|---|
| ობიექტის დასახელება | შპს „საქენერგო“ |
| ობიექტის მისამართი: | |
| ფაქტიური | ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ტერიტორია |
| იურიდიული | თბილისი, ყიფშიძის შესახვევი 15, სართ. 3 |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 448054499 |
| GPS კოორდინატები | ბანაკი N1-ის ტერიტორია<br>№ / X / Y<br>1 / 463171 / 4595002<br>2 / 463250 / 4594993<br>3 / 463247 / 4594963<br>4 / 463168 / 4594974 |
| | |
| გვარი, სახელი | თენგიზ წულაია |
| ტელეფონი | 577 71 0051 |
| ელ-ფოსტა | tengo@archi.ge |
| მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე | 800 მ; |
| ეკონომიკური საქმიანობის სახე | მდ. ხრამის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე 9.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის მშენებლობა და ექსპლუატაცია |
| გამოშვებული პროდუქციის სახეობა | ელექტროენერგიის წარმოება |
| საპროექტო წარმადობა | 9.2 მგვტ |
| ნედლეულის სახეობა და ხარჯი | საპროექტო წყლის ხარჯი 24 $მ^3$/სთ |
| საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენებულის გარდა) | - |
| სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში | 365 |
| სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში | 9125 |

## 2 საწარმოს განთავსების ბუნებრივ-კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება

საწარმოს განთავსების რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მოკლედახასიათება მიღებულია [5] -ს შესაბამისად და წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილების სახით.

**ცხრილი 2.1.** პუნქტის კოორდინატები, ბარომეტრული წნევა

| № | პუნქტის დასახელება | გეოგრაფიული განედი (გრადუსი და მინუტი) | გეოგრაფიული გრძედი (გრადუსი და მინუტი) | სიმაღლე ზღვის დონიდან (მ) | ბარომეტრული წნევა (ჰპა) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბოლნისი | $43^0\ 27^I$ | $44^0\ 33^I$ | 534 | 945 |

სამშენებლო კლიმატური დარაიონების მიხედვით ბოლნისი განეკუთვნება II ბ ქვერაიონს.

**ცხრილი 2.2.** ჰაერის ტემპერატურა (თვის და წლის საშუალო)

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | წლ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0.3 | 2.0 | 5.9 | 11.3 | 16.4 | 20.2 | 23.6 | 23.3 | 18.8 | 13.3 | 7.0 | 2.3 | 12.0 |

**ცხრილი 2.3.** ჰაერის ფარდობითი ტენიანობა (%)

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | წლ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 72 | 68 | 69 | 66 | 68 | 63 | 56 | 56 | 65 | 72 | 77 | 75 | 67 |

**ცხრილი 2.4.** ნალექების რ-ბა წელიწადში (მმ) ნალექები დღე-ღამური მაქსიმუმი (მმ)

| პუნქტის დასახელება | ნალექების რ-ბა წელიწადში (მმ) | ნალექები დღე-ღამური მაქსიმუმი (მმ) |
|---|---|---|
| ბოლნისი | 572 | 132 |

თოვლიან დღეთა რიცხვი წელიწადში : 22

**ცხრილი 2.5.** ქარის მიმართულების განმეორადობა (%) იანვარი, ივლისი

| ჩრდ | ჩრდ.აღმ | აღმ | სამხ.აღმ | სამხ | სამხ.დას | დას | ჩრდ.დას |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3/4 | 4/4 | 21/19 | 10/14 | 2/4 | 8/9 | 4/38 | 11/8 |

**ცხრილი 2.6.** ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე (მ/წმ)

| იანვარი | ივლისი |
|---|---|
| 3.5/0.7 | 4.1/1.0 |

მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის პირობებს

| № | მეტეოროლოგიური მახასიათებლების და კოეფიციენტების დასახელება | მნიშვნელობები |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 1. | ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატიფიკაციის კოეფიციენტი | 200 |
| 2. | ადგილის რელიეფის გავლენის ამსახველი კოეფიციენტი | 1 |
| 3. | წლის ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა, $^0$C | 29.8 |
| 4. | წლის ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, $^0$C | 0.3 |
| 5. | ქართა საშუალო წლიური თაიგული, % | შტილი-24 |
| | _ ჩრდილოეთი | 3 |
| | _ ჩრდილო-აღმოსავლეთი | 6 |
| | _ აღმოსავლეთი | 24 |
| | _ სამხრეთ-აღმოსავლეთი | 12 |
| | _ სამხრეთი | 2 |
| | _ სამხრეთ-დასავლეთი | 8 |
| | _ დასავლეთი | 36 |
| | _ ჩრდილო-დასავლეთი | 9 |
| 6. | ქარის სიჩქარე(მრავალწლიური მონაცემების მიხედვით), რომლის გადამეტების განმეორადობა შეადგენს 5%-ს. | 12.0 |

## 3 ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა და დაბინძურების წყაროთა დახასიათება

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში მოსალოდნელია ქვემოთ მოყვანილი მავნე ნივთიერებების ემისია, რომელთა მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო დღეღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები [4] მოცემულია ცხრილში 3.1

**ცხრილი 3.1.** მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო დღეღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

| მავნე ნივთიერებათა | | ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ$^3$ | | მავნეობის საშიშროების კლასი |
|---|---|---|---|---|
| დასახელება | კოდი | მაქსიმალური ერთჯერადი | საშუალო სადღეღამისო | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| აზოტის დიოქსიდი | 0301 | 0,2 | 0,04 | 3 |
| აზოტის (II) ოქსიდი (აზოტის ოქსიდი) | 0304 | 0,4 | 0,06 | 3 |
| ნახშირბადი (ჭვარტლი) | 0328 | 0,15 | 0,05 | 3 |
| გოგირდის დიოქსიდი (გოგირდის ანჰიდრიდი) | 0330 | 0,35 | 0,125 | 3 |
| გოგირდწყალბადი | 0333 | 0,008 | - | 2 |
| ნახშირბადის ოქსიდი | 0337 | 5,0 | 3,0 | 4 |
| ნაჯერი ნახშირწყალბადების ნავთის ფრაქცია | 2732 | - | - | 1,2სუზდ |
| ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19 | 2754 | 1,0 | - | 4 |
| შეწონილი ნაწილაკები | 2902 | 0,5 | 0,15 | 3 |
| არაორგანული მტვერი: 70-20% SiO2 | 2908 | 0,3 | 0,10 | 3 |
| | | | | |

## 4 ატმოსფერულ ჰაერში.გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება № 435, კანონმდებლობის თანახმად ემისიის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშება შესაძლებელია განხორციელდეს ორი გზით:

1. უშუალოდ ინსტრუმენტული გაზომვებით;
2. საანგარიშო მეთოდის გამოყენებით,

წინამდებარე დოკუმენტში გაანგარიშება შესრულებულია საანგარიშო მეთოდის გამოყენებით. მიმდინარე საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების და გაფრქვევის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

### ემისიის გაანგარიშება დიზელის საწვავის რეზერვუარიდან (გ-1)

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენენ რეზერვუარის სასუნთქი სარქველი ნავთობპროდუქტის შენახვისას (მცირე სუნთქვა) და ჩატვირთვისას (დიდი სუნთქვა). კლიმატური ზონა-3.

დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშება შესრულებულია [9]-ს შესაბამისად. დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია **ცხრილში 3.12.**

**ცხრილი 3.12.**

| დამაბინძურებელი ნივთიერება | | მაქსიმალური ერთჯერადი ემისია, გ/წმ | წლიური ემისია, ტ/წელ |
|---|---|---|---|
| კოდი | დასახელება | | |
| 333 | დიჰიდროსულფიდი (გოგირდწყალბადი) | 0,000061 | 0,0000048 |
| 2754 | ალკანები $C_{12}$-$C_{19}$ (ნაჯერი ნახშირწყალბადები $C_{12}$-$C_{19}$) | 0,0217168 | 0,0016935 |

საწყისი მონაცემები გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია **ცხრილში 3.13**

**ცხრილი 3.13.**

| პროდუქტი | რ-ბა წელიწადში, ტ/წელ | | რეზერვუარის კონსტრუქცია | ტუმბოს წარმადობა, მ³/სთ | რეზერვუარის მოცულობა, მ³ | რეზერვუარების რ-ბა | ერთდროულობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | $B_{შზ}$ | $B_{გზ}$ | | | | | |
| დიზელის საწვავი. ჯგ. A. სითხის ტემპერატურა ახლოსაა ჰაერის ტემპერატურასთან | 24 | 24 | მიწისზედა ვერტიკალური. ექსპლოატაციის რეჟიმი - "საწყავი". ემისიის შემზღუდავი სისტემა-არ არის. | 20 | 20 | 2 | + |

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ.

ნავთობპროდუქტების ორთქლის მაქსიმალური ემისია გაიანგარიშება ფორმულით:

$\boldsymbol{M} = (\boldsymbol{C_1} \cdot \boldsymbol{K}^{max}_p \cdot \boldsymbol{V}^{max}_ч) / 3600$, გ/წმ;

ნავთობპროდუქტების ორთქლის წლიური ემისია გაიანგარიშება ფორმულით:

$\boldsymbol{G} = (\boldsymbol{У_2} \cdot \boldsymbol{B_{оз}} + \boldsymbol{У_3} \cdot \boldsymbol{B_{вл}}) \cdot \boldsymbol{K}^{max}_p \cdot 10^{-6} + \boldsymbol{G_{хр}} \cdot \boldsymbol{K_{нп}} \cdot \boldsymbol{N}$, ტ/წელ.

სადაც: $\boldsymbol{У_2}, \boldsymbol{У_3}$ –საშუალო კუთრი ემისია რეზერვუარიდან შესაბამისად წლის განმავლობაში შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდებისათვის, გ/ტ. მიიღება დანართი 12-ის მიხედვით.

$\boldsymbol{B_{оз}}, \boldsymbol{B_{вл}}$ – სითხის რ-ბა, რომელიც ჩაიტვირთება რეზერვუარში შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდებისათვის, ტ.

$K^{max}{}_{p}$ - ცდით მიღებული კოეფიციენტი, მიიღება დანართ 8-ს მიხედვით.

$G_{xp}$ - ნავთობპროდუქტების ორთქლის ემისია ერთ რეზერვუარში შენახვისას, ტ/წელ; მიიღება დანართ 13-ის მიხედვით.

$K_{нп}$ -ცდით მიღებული კოეფიციენტი, მიიღება დანართ 12-ს მიხედვით.

$N$ - რეზერვუარების რ-ბა.

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

დიზელის საწვავი

$M = 3{,}92 \cdot 1 \cdot 20 / 3600 = 0{,}0217778$ გ/წმ;

$G = (2{,}36 \cdot 24 + 3{,}15 \cdot 24) \cdot 1 \cdot 10^{-6} + 0{,}27 \cdot 0{,}0029 \cdot 2 = 0{,}0016982$ ტ/წელ;

333 დიჰიდროსულფიდი (გოგირდწყალბადი)

$M = 0{,}0217778 \cdot 0{,}0028 = 0{,}000061$ გ/წმ;

$G = 0{,}0016982 \cdot 0{,}0028 = 0{,}0000048$ ტ/წელ;

2754 ალკანები $C_{12}$-$C_{19}$(ნაჯერი ნახშირწყალბადები $C_{12}$-$C_{19}$)

$M = 0{,}0217778 \cdot 0{,}9972 = 0{,}0217168$ გ/წმ;

$G = 0{,}0016982 \cdot 0{,}9972 = 0{,}0016935$ ტ/წელ.

**ემისიის გაანგარიშება ცემენტის მიმღები სილოსიდან (გ-2)**

ბეტონის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი მდგომარეობს ცემენტის ცემენტმზიდიდან პნევმატური მეთოდით სილოსში ჩატვირთვაში და შემდგომ იქიდან მის დოზირებულ მიწოდებაში ჭიახრახნული მეთოდით სასწორის გავლით უშუალოდ მიქსერში, სადაც წინასწარ ხდება ქვიშის, და ღორღის, წყლისა და ქიმ. დანამატის (პლასტიფიკატორის) კომპონენტებით შევსება დადგენილი რეცეპტურის შესაბამისად.

საწარმოს მონაცემებით წლის განმავლობაში სილოსში უნდა მიეწოდოს 15,12 ათ.ტ ცემენტი.

სილოსი აღჭურვილია სტანდარტული ქსოვილიანი ფილტრით, საპასპორტო ეფექტურობით- 99,8%. (მცირე ზომის სახელოებიანი ქსოვილის ფილტრი, მარკა КФЕ-С, ე.წ. „სასილოსე ფილტრები", განკუთვნილია სილოსების ჭარბი წნევის ასპირაციისათვის. რეგენერაცია შეკუმშული აირით. გაფილტრული მტვერი ბრუნდება უკან სილოსში. ფილტრის სიგრძე 1 მეტრი. ჰაერის ხარჯის დიაპაზონი 300-1000მ$^3$/სთ. ფილტრაციის ფართი-5-200 მ$^2$.

[3]-ს მიხედვით ცემენტის მტვრის წლიური გამოყოფა იქნება 15120 ტ * 0,8კგ/ტ * $10^{-3}$ = 12,096 ტ/წელ; ქსოვილიანი ფილტრის საპასპორტო ეფექტურობის გათვალისწინებით ემისია იქნება:

12,096 ტ/წელ * (1-0,998)= 0,024192 ტ/წელ.

მაქსიმალური წამური ემისიის გაანგარიშება:

ერთი ცემენტმზიდის საშუალო ტვირთამწეობაა 25 ტნ, დაცლის დრო 2სთ. (7200 წმ); ცემენტის მტვრის წამური გამოყოფა იქნება 25ტ * 0,8კგ/ტ * $10^3$ / 7200წმ = 2,78 გ/წმ;

ქსოვილიანი ფილტრის ეფექტურობის გათვალისწინებით გვექნება: 2,78 გ/წმ * (1-0,998)= 0,0056 გ/წმ.

უშუალოდ ბეტონშემრევი წარმოადგენს ყველა მხრიდან დახურულ სისტემას და მას არ გააჩნია კავშირი ატმოსფერულ ჰაერთან, შესაბამისად ატმოსფეროში მტვრის გამოყოფას ადგილი არა აქვს.

(ბეტონშემრევზე დამონტაჟებული დრეკადი მილი მიერთებულია ზედა ბუნკერთან და მასალების ჩატვირთვის მომენტში წარმოქმნილი მტვერი მიემართება უკან.)

**ცხრილი 2** გაანგარიშებული ემისია

| კოდი | ნივთიერების დასახელება | % | მასა (გ/წმ) | მასა (ტ/წელ) |
|---|---|---|---|---|
| 2908 | არაორგანული (ცემენტის) მტვერი | 100 | 0,0056 | 0,024192 |

**ემისიის გაანგარიშება ლენტური ტრანსპორტიორიდან (გ-3)**

საანგარიშო ფორმულები [4,5,6]-ს მიხედვით ტრანსპორტირება ხორციელდება ღია კონვეირული ლენტების საშუალებით, სიგანით-1მ. საერთო სიგრძე შეადგენს 15 მეტრს. ქარის საანგარიშო სიჩქარეები შეადგენს, მ/წმ: 7,4($K_3$ = 1,7). ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 2,35($K_3$ = 1,2).

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 3.5.

**ცხრილი 3.5.** დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

| დამაბინძურებელი ნივთიერება | | მაქსიმალური ემისია, გ/წმ | წლიური ემისია, ტ/წელ |
|---|---|---|---|
| კოდი | დასახელება | | |
| 2902 | შეწონილი ნაწილაკები | 0,0057375 | 0,017496 |

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 3.6.

**ცხრილი 3.6**

| მასალა | პარამეტრები | ერთდროულობა |
|---|---|---|
| ღორღი | მუშაობის დრო-1200სთ/წელ; ტენიანობა 10% ($K_5$ = 0,1). ნაწილაკების ზომა-50-10მმ. ($K_7$ = 0,5). კუთრი ამტვერება- 0,0000045 კგ/მ²*წმ. | + |

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ.

შეწონილი ნაწილაკების ჯამური მასის ემისია, რომელიც წარმოიქმნება მასალის ტრანსპორტირებისას ღია ლენტური კონვეირიდან, განისაზღვრება ფორმულით:

$M_K = 3{,}6 \cdot K_3 \cdot K_5 \cdot W_K \cdot L \cdot l \cdot \gamma \cdot T$, ტ/წელ;

სადაც:

$K_3$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს ;

$K_5$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

$W_K$ - ლენტური ტრანსპორტიორიდან კუთრი ამტვერება, კგ/მ²*წმ;

$L$ - ლენტური ტრანსპორტიორის სიგანე, მ.

$l$ - ლენტური ტრანსპორტიორის სიგრძე, მ.

$\gamma$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის დაწვრილმარცვლოვანებას;

$T$ - მუშაობის წლიური დრო, სთ/წელ;

მაქსიმალური ერთჯერადი ემისია რომელიც წარმოიქმნება მასალის ტრანსპორტირებისას ღია ლენტური კონვეირიდან, განისაზღვრება ფორმულით:

$M'_K = K_3 \cdot K_5 \cdot W_K \cdot L \cdot l \cdot \gamma \cdot 10^3$, გ/წმ;

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

<u>შეწონილი ნაწილაკები</u>

$M'_{2908}{}^{7,4\ მ/წმ}$ = 1,7 · 0,1 · 0,0000045 · 15 · 1 · 0,5 · $10^3$ = 0,0057375 გ/წმ;

$M_{2902}$ = 3,6 · 1,2 · 0,1 · 0,0000045 · 15 · 1 · 0,5 · 1200 = 0,017496 ტ/წელ.

**ემისიის გაანგარიშება სახარჯი ბუნკერიდან (გ-4)**

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [**4,5,6**]

ფხვიერი მასალების გადატვირთვა ხორციელდება ჩამტვირთავი სახელოს გარეშე. ადგილობრივი პირობები-საწყობი დახურულია ოთხივე მხრიდან.($K_4$ =0,005). მასალის გადმოყრის სიმაღლე-1,0მ. ($B$ = 0,5) ზალპური ჩამოცლა ავტოთვითმცლელიდან არ ხორციელდება ($K_9$ =1). ქარის საანგარიშო სიჩქარეები, მ/წმ: 7,4 ($K_3$ = 1,7). ქარის საშუალო წლიური სიჩქარე, მ/წმ: 2,35 ($K_3$ = 1,2).

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია **ცხრილში 3.7.**

**ცხრილი 3.7.** დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

| დამაბინძურებელი ნივთიერება | | მაქსიმალური ემისია, გ/წმ | წლიური ემისია, ტ/წელ |
|---|---|---|---|
| კოდი | დასახელება | | |
| 2902 | შეწონილი ნაწილაკები | 0,0014167 | 0,004752 |

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია **ცხრილში 3.8.**

**ცხრილი 3.8.** გაანგარიშების საწყისი მონაცემები

| მასალა | პარამეტრი | ერთდროულობა |
|---|---|---|
| ღორღი | გადატვირთული მასალის რ-ბა: Gч = 30ტ/სთ; Gწლ = 39600ტ/წელ. მტვრის ფრაქციის მასური წილი მასალაში: $K_1$ = 0,04. მტვრის წილი, რომელიც გადადის აეროზოლში: $K_2$ = 0,02. ტენიანობა 10% ($K_5$ = 0,1). მასალის ზომები 50-10 მმ ($K_7$ = 0,5). | + |

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ:

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$M_{ГР} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_ч \cdot 10^6 / 3600,\ გ/წმ$$

სადაც,

$K_1$ -მტვრის ფრაქციის (0-200მკმ) წონითი წილი მასალაში;

$K_2$ - მტვრის წილი (მტვრის მთლიანი წონითი წილიდან), რომელიც გადადის აეროზოლში (0-10მკმ);

$K_3$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს;

$K_4$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;

$K_5$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

$K_7$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;

$K_8$ - შემასწორებელი კოეფიციენტი სხვადასხვა მასალისათვის გრეიფერის ტიპის გათვალისწინებით, სხვა ტიპის გადამტვირთავი მოწყობილობების გამოყენებისას $K_8 = 1$;

$K_9$ - შემასწორებელი კოეფიციენტი ზალპური ჩამოცლისას ავტოთვითმცლელიდან.

$B$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გადმოყრის სიმაღლეს;

$G_ч$ –გადასატვირთი მასალის რ-ბა სთ-ში, (ტ/სთ).

მტვრის ჯამური წლიური ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$П_{ГР} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_{год},\ ტ/წელ$$

სადაც $G_{год}$ - გადასატვირთი მასალის წლიური რ-ბა, ტ/წელ;

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

<u>არაორგანული მტვერი 70-20%</u>

$M_{2902}^{7,4\ გ/წმ} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1,7 \cdot 0,005 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 1 \cdot 0,5 \cdot 30 \cdot 10^6 / 3600 = 0,0014167$ გ/წმ;

$П_{2902} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1,2 \cdot 0,005 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 1 \cdot 0,5 \cdot 39600 = 0,004752$ ტ/წელ.

**ემისიის გაანგარიშება საგზაო - სამშენებლო მანქანების სადგომიდან (გ-5)**

დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს წარმოადგენს საგზაო-სამშენებლო მანქანების ძრავები ძრავის გაშვებისას, გათბობისას, ტერიტორიაზე მოძრაობისას და უქმი სვლის რეჟიმზე მუშაობისას.

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების [7,8]

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები საგზაო-სამშენებლო მანქანებიდან მოცემულია **ცხრილში 3.9.**

**ცხრილი 3.9.** დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები საგზაო-სამშენებლო მანქანები სადგომიდან

| დამაბინძურებელი ნივთიერება | | მაქსიმალური ემისია, გ/წმ | წლიური ემისია, ტ/წელ |
|---|---|---|---|
| კოდი | დასახელება | | |
| 301 | აზოტის დიოქსიდი | 0,0010356 | 0,002796 |
| 304 | აზოტის ოქსიდი | 0,0001683 | 0,0004544 |
| 328 | ჭვარტლი | 0,0000717 | 0,0001935 |
| 330 | გოგირდის დიოქსიდი | 0,0002007 | 0,0005419 |
| 337 | ნახშირბადის ოქსიდი | 0,0019639 | 0,0053025 |
| 2732 | ნახშირწყალბადების ნავთის ფრაქცია | 0,0004472 | 0,0012075 |

გაანგარიშება შესრულებულია საგზაო-სამშენებლო მანქანების სადგომიდან გარემო ტემპერატურის პირობებში. საგზაო-სამშენებლო მანქანების გარბენი სადგომიდან გამოსვლისას შეადგენს 1 კმ-ს, სადგომში შესვლისას 0,1 კმ. უქმი სვლის რეჟიმში ძრავის მუშაობის ხანგრძლივობა სადგომიდან გამოსვლისას-1 წთ, დაბრუნებისას-1 წთ. სამუშაო დღეთა რ-ბა-250.

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია **ცხრილში 3.10.**

**ცხრილი. 3.10.** გაანგარიშების საწყისი მონაცემები

| საგზაო-სამშენებლო მანქანების (სსმ) დასახელება | საგზაო-სამშენებლო მანქანების ტიპი | სსმ-ს მაქსიმალური რ-ბა | | | | ელექტროს ტარტერი | ერთდროულობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | გამოსვლა/შესვლა დღეში | გამოსვლა ერთ სთ-ში | შემოსვლა ერთ სთ-ში | | |
| | სატვირთო მანქანა ტვირთამწეობა 8-დან 16ტ-მდე ტონის | 3 | 3 | 1 | 1 | - | - |

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ:

$i$-ური ნივთიერების ემისია $k$-ური ჯგუფისა ერთი ერთეულიდან დღეში ტერიტორიიდან გამოსვლისას $M'_{ik}$ და ტერიტორიაზე შესვლისას $M''_{ik}$ ხორციელდება ფორმულით:

$M_{1ik} = m_{ПР\,ik} \cdot t_{ПР} + m_{L\,ik} \cdot L_1 + m_{XX\,ik} \cdot t_{XX\,1}$, გ

$M_{2ik} = m_{L\,ik} \cdot L_2 + m_{XX\,ik} \cdot t_{XX\,2}$, გ

სადაც:

$m_{ПР\,ik}$ – $i$-ური ნივთიერების ემისია ძრავის გათბობისას გამშვები ძრავიდან $k$-ური ჯგუფისათვის, გ/წთ;

$m_{L\,ik}$ – $i$-ური ნივთიერების ემისია $k$- ჯგუფის მანქანების 20-10 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისას გ/წთ;

$m_{XX\,ik}$ – $i$-ური ნივთიერების კუთრი ემისია ძრავის უქმი სვლის რეჟიმში მუშაობისას $k$-ური ჯგუფისათვის, გ/წთ;

$t_{ПР}$ - გამშვები ძრავის და ძრავის გათბობის დრო, წთ;

$L_1$, $L_2$ - მანქანების გათბობის რეჟიმი ავტოსადგომის ტერიტორიაზე ყოფნისას, კმ

$t_{XX\,1}$, $t_{XX\,2}$ -მანქანის ძრავის მუშაობის დრო გამოსვლისას და შესვლისას უქმი სვლის რეჟიმზე, წთ.

ეკოლოგიური კონტროლის განხორციელებისას კუთრი გამოყოფა დამაბინძურებელი ნივთიერებებისა ავტოტრანსპორტიდან მცირდება , ამრიგად უნდა გადაიანგარიშდეს შემდეგი ფორმულით

$m'_{ПР\,ik} = m_{ПР\,ik} \cdot K_i$, გ/წუთ.

$m''_{XX\,ik} = m_{XX\,ik} \cdot K_i$, გ/წუთ.

სადაც

$K_i$ – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გაფრქვევების შემცირებას $i$-რი დამაბინძურებელი ნივთიერებებისა ეკოლოგიური კონტროლის

$i$-ური ნივთიერების ჯამური ემისია საგზაო მანქანებიდან წლის ყოველი პერიოდისათვის გაიანგარიშება ცალ-ცალკე ფორმულით:

$M_j = \sum^{k}_{k=1} \alpha_B (M_{1ik} + M_{2ik}) N_k \cdot D_P \cdot 10^{-6}$ტ/წელ;

სადაც:

$\alpha_B$ - გამოსვლის კოეფიციენტი

$N_k$ – $\kappa$-ური ჯგუფის საგზაო მანქანების საშუალო რ-ბა, რომლებიც ყოველდღიურად გადიან ხაზზე;

$D_P$ - საანგარიშო პერიოდში (ცივი, გარდამავალი და თბილი) სამუშაო დღეთა რ-ბა;

$j$ – წლის პერიოდი (T - თბილი, П - გარდამავალი, X - ცივი);

ჯამური საერთო წლიური ემისიის $M_i$ გამოსათვლელად ერთი და იგივე ნივთიერებების ემისიები წლის სეზონების მიხედვით იკრიბება

$M_i = M^T{}_i + M^П{}_i + M^X{}_i$, ტ/წელ;

მაქსიმალური ერთჯერადი ემისია $i$-ური ნივთიერებისა $G_i$ იანგარიშება ფორმულით:

$G_i = \sum^{k}_{k=1}(M'_{ik} \cdot N'_k + M''_{ik} \cdot N''_k) / 3600$, გ/წმ;

სადაც;

$N'_k$, $N''_k$ – $k$-ური ჯგუფის მანქანების რ-ბა, რომლებიც გამოდიან და შედიან სადგომზე ერთ საათში და ხასიათდება მანქანების გამოსვლა/შესვლის მაქსიმალური ინტენსივობით.

$G_i$ –ის მიღებული მნიშვნელობებიდან შეირჩევა მაქსიმალური სხ/სხ ჯგუფის მანქანებიდად მათი მუშაობის ერთდროულობის გათვალისწინებით.

დამაბინძურებელ ნივთიერებათა კუთრი ემისია გამშვები ძრავის მუშაობისას, აგრეთვე ძრავის გათბობისას, მოძრაობისას და უქმი სვლის რეჟიმზე მუშაობისას, მოცემულია **ცხრილში 3.11.**

**ცხრილი 3.11.** დამაბინძურებელ ნივთიერებათა კუთრი ემისია, გ/წთ

| ტიპი | დამაბინძურებელი ნივთიერება | გაშვება | ძრავის გათბობა | | | მოძრაობა | | | უქმი სვლა | ეკო.კონტროლი Ki |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | T | П | X | T | П | X | | |
| სატვირთო მანქანა. ტვირთამწეობა 8-დან 16-მდე ტონის | | | | | | | | | | |
| | აზოტის დიოქსიდი (აზოტის (IV) ოქსიდი) | - | 0,408 | 0,616 | 0,616 | 2,72 | 2,72 | 2,72 | 0,368 | 1 |
| | აზოტის (II) ოქსიდი | - | 0,0663 | 0,1 | 0,1 | 0,442 | 0,442 | 0,442 | 0,0598 | 1 |
| | ჭვარტლი | - | 0,019 | 0,0342 | 0,038 | 0,2 | 0,27 | 0,3 | 0,019 | 0,8 |
| | გოგირდის დიოქსიდი | - | 0,1 | 0,108 | 0,12 | 0,475 | 0,531 | 0,59 | 0,1 | 0,95 |
| | ნახშირბადის ოქსიდი | - | 1,34 | 1,8 | 2 | 4,9 | 5,31 | 5,9 | 0,84 | 0,9 |
| | ნახშირწყალბადების ნავთის ფრაქცია | - | 0,59 | 0,639 | 0,71 | 0,7 | 0,72 | 0,8 | 0,42 | 0,9 |

ძრავის გათბობის რეჟიმი გაანგარიშებებში გათვალისწინებული არ არის. დამაბინძურებელ ნივთიერებათა წლიური და მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

$M_1 = 2{,}72 \cdot 0{,}1 + 0{,}368 \cdot 1 = 0{,}64$ გ

$M_2 = 2{,}72 \cdot 1 + 0{,}368 \cdot 1 = 3{,}088$ გ;

$M_{301} = (0{,}64 + 3{,}088) \cdot 250 \cdot 3 \cdot 10^{-6} = 0{,}002796$ ტ/წელ

$G_{301} = (0{,}64 \cdot 1 + 3{,}088 \cdot 1) / 3600 = 0{,}0010356$ გ/წმ.

$M_1 = 0{,}442 \cdot 0{,}1 + 0{,}0598 \cdot 1 = 0{,}104$ გ;

$M_2 = 0{,}442 \cdot 1 + 0{,}0598 \cdot 1 = 0{,}5018$ გ;

$M_{304} = (0{,}104 + 0{,}5018) \cdot 250 \cdot 3 \cdot 10^{-6} = 0{,}0004544$ ტ/წელ;

$G_{304} = (0{,}104 \cdot 1 + 0{,}5018 \cdot 1) / 3600 = 0{,}0001683$ გ/წმ

$M_1 = 0{,}2 \cdot 0{,}1 + 0{,}019 \cdot 1 = 0{,}039$ გ;

$M_2 = 0{,}2 \cdot 1 + 0{,}019 \cdot 1 = 0{,}219$ გ;

$M_{328} = (0{,}039 + 0{,}219) \cdot 250 \cdot 3 \cdot 10^{-6} = 0{,}0001935$ ტ/წელ

$G_{328} = (0{,}039 \cdot 1 + 0{,}219 \cdot 1) / 3600 = 0{,}0000717$ გ/წმ

$M_1$ = 0,475 · 0,1 + 0,1 · 1 = 0,1475 გ

$M_2$ = 0,475 · 1 + 0,1 · 1 = 0,575 გ

$M_{330}$ = (0,1475 + 0,575) · 250 · 3 · $10^{-6}$ = 0,0005419 ტ/წელ;

$G_{330}$ = (0,1475 · 1 + 0,575 · 1) / 3600 = 0,0002007 გ/წმ.

$M_1$ = 4,9 · 0,1 + 0,84 · 1 = 1,33 გ

$M_2$ = 4,9 · 1 + 0,84 · 1 = 5,74 გ

$M_{337}$ = (1,33 + 5,74) · 250 · 3 · $10^{-6}$ = 0,0053025 ტ/წელ

$G_{337}$ = (1,33 · 1 + 5,74 · 1) / 3600 = 0,0019639 გ/წმ

$M_1$ = 0,7 · 0,1 + 0,42 · 1 = 0,49 გ

$M_2$ = 0,7 · 1 + 0,42 · 1 = 1,12 გ

$M_{2732}$ = (0,49 + 1,12) · 250 · 3 · $10^{-6}$ = 0,0012075 ტ/წელ;

$G_{2732}$ = (0,49 · 1 + 1,12 · 1) / 3600 = 0,0004472 გ/წმ

**ემისიის გაანგარიშება ღორღი დასაწყობება-შენახვისას (გ-6)**

**ემისიის გაანგარიშება დასაწყობებისას**

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [**4,5,6**]
ფხვიერი მასალების გადატვირთვა ხორციელდება ჩამტვირთავი სახელოს გარეშე.
ადგილობრივი პირობები-საწყობი ღია ოთხივე მხრიდან.($K_4$ =1). მასალის გადმოყრის სიმაღლე-1,0მ. ($B$ = 0,5) ზალპური ჩამოცლა ავტოთვითმცლელიდან ხორციელდება 10ტ-ზე მეტი ($K_9$ =0,1).
ქარის საანგარიშო სიჩქარეები, მ/წმ: 7,4 ($K_3$ = 1,7). ქარის საშუალო წლიური სიჩქარე, მ/წმ: 2,35 ($K_3$ = 1,2).
დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია **ცხრილში 3.1**

**ცხრილი 3.1** დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

| დამაბინძურებელი ნივთიერება | | მაქსიმალური ემისია, გ/წმ | წლიური ემისია, ტ/წელ |
|---|---|---|---|
| კოდი | დასახელება | | |
| 2902 | შეწონილი ნაწილაკები | 0,0283333 | 0,09504 |

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია **ცხრილში 3.2**.

**ცხრილი 3.2.** გაანგარიშების საწყისი მონაცემები

| მასალა | პარამეტრი | ერთდროულობა |
|---|---|---|
| ღორღი | გადატვირთული მასალის რ-ბა: Gч = 30ტ/სთ; Gწლ = 39600ტ/წელ. მტვრის ფრაქციის მასური წილი მასალაში: $K_1$ = 0,04. მტვრის წილი, რომელიც გადადის აეროზოლში: $K_2$ = 0,02. ტენიანობა 10% ($K_5$ = 0,1). მასალის ზომები 50-10 მმ ($K_7$ = 0,5). | + |

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ:
მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$M_{ГР} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_ч \cdot 10^6 / 3600$, გ/წმ

სადაც,

$K_1$ -მტვრის ფრაქციის (0-200მკმ) წონითი წილი მასალაში;

$K_2$ - მტვრის წილი (მტვრის მთლიანი წონითი წილიდან), რომელიც გადადის აეროზოლში (0-10მკმ);

$K_3$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს;

$K_4$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;

$K_5$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

$K_7$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;

$K_8$ - შემასწორებელი კოეფიციენტი სხვადასხვა მასალისათვის გრეიფერის ტიპის გათვალისწინებით, სხვა ტიპის გადამტვირთავი მოწყობილობების გამოყენებისას $K_8 = 1$;

$K_9$ - შემასწორებელი კოეფიციენტი ზალპური ჩამოცლისას ავტოთვითმცლელიდან.

$B$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გადმოყრის სიმაღლეს;

$G_ч$ –გადასატვირთი მასალის რ-ბა სთ-ში, (ტ/სთ).

მტვრის ჯამური წლიური ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$П_{ГР} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_{год}$, ტ/წელ

სადაც $G_{год}$ - გადასატვირთი მასალის წლიური რ-ბა, ტ/წელ;

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

<u>შეწონილი ნაწილაკები</u>

$M_{2902}^{7,4\ გ/წმ} = 0{,}04 \cdot 0{,}02 \cdot 1{,}7 \cdot 1 \cdot 0{,}1 \cdot 0{,}5 \cdot 1 \cdot 0{,}1 \cdot 0{,}5 \cdot 30 \cdot 10^6 / 3600 = 0{,}0283333$ გ/წმ;

$П_{2902} = 0{,}04 \cdot 0{,}02 \cdot 1{,}2 \cdot 1 \cdot 0{,}1 \cdot 0{,}5 \cdot 1 \cdot 0{,}1 \cdot 0{,}5 \cdot 39600 = 0{,}09504$ ტ/წელ.

**ემისიის გაანგარიშება შენახვისას**

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [**4,5,6**] დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 3.3.

**ცხრილი 3.3.** დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

| დამაბინძურებელი ნივთიერება | | მაქსიმალური ემისია, გ/წმ | წლიური ემისია, ტ/წელ |
|---|---|---|---|
| კოდი | დასახელება | | |
| 2902 | შეწონილი ნაწილაკები | 0,0123523 | 0,006521 |

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ფხვიერი მასალის შენახვისას ხორციელდება ფორმულით:

$M_{ХР} = K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot q \cdot F_{раб} + K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot 0{,}11 \cdot q \cdot (F_{пл} - F_{раб}) \cdot (1 - \eta)$, გ/წმ

სადაც,

$K_4$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;

$K_5$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

$K_6$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილს;

$K_7$ -კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;

$F_{раб}$ - ფართი გეგმაზე, რომელზედაც სისტემატიურად მიმდინარეობს დასაწყობების სამუშაოები, $м^2$

$F_{пл}$ - ამტვერების ზედაპირის ფართი გეგმაზე, $м^2$;

$q$ - მტვრის კუთრი ამტვერების მაქსიმალური სიდიდე, გ/($м^2$*წმ);

$\eta$ - გაფრქვევის შემცირების ხარისხი მტვერდამხშობი სისტემის გამოყენებისას.

კოეფიციენტ $K_6$ -ის მნიშვნელობა განისაზღვრება ფორმულით:

$$K_6 = F_{макс} / F_{пл}$$

სადაც,

$F_{макс}$ - საწყობის მაქსიმალურად შევსებისას დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის ფაქტიური ფართი საწყობის მაქსიმალურად შევსებისას, $м^2$;

მტვრის კუთრი ამტვერების მაქსიმალური სიდიდე განისაზღვრება ფორმულით: გ/($м^2$*წმ);

$$q = 10^{-3} \cdot a \cdot U^b, \text{ გ/(მ}^2\text{*წმ)};$$

სადაც,

$a$ და $b$ – ემპირიული კოეფიციენტებია, რომლებიც დამოკიდებულია გადასატვირთი მასალის ტიპზე; $U^b$ - ქარის სიჩქარე, მ/წმ.

მტვრის ჯამური წლიური ემისიის გაანგარიშება ფხვიერი მასალის შენახვისას ხორციელდება ფორმულით:

$$П_{ХР} = 0{,}11 \cdot 8{,}64 \cdot 10^{-2} \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot q \cdot F_{пл} \cdot (1 - \eta) \cdot (T - T_д - T_с) \text{ ტ/წელ};$$

სადაც,

$T$ – იმასალის შენახვის საერთო დრო განსახილველ პერიოდში (დღე);

$T_д$ - წვიმიან დღეთა რიცხვი;

$T_с$ - მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი;

საანგარიშო პარამეტრები და მათი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 3.4

